ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის

ა ნ გ ა რ ი შ ი

2023 წლის იანვრიდან დღემდე გაწეული მუშაობის შესახებ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს კოდექსით „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ მერიისა და ადმინისტრაციული სამსახურის დებულებითა და სხვა ადმინისტრაციული აქტებით. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №19 დადგენილებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხა განისაზღვრა პოლიტიკური თანამდებობის პირთა და პროფესიული საჯარო მოხელეთა 85 საშტატო ერთეულით და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა 48 ერთეულით. 2023 წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით საშტატო ერთეულით დასაქმებული იყო 67, ვაკანსია - 18. ადმინისტრაციული ხელშეკრულებით- 46, ვაკანსია-2. ასევე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა რაოდენობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით განსაზღრული იყო 44 ერთეულით და დასაქმებული იყო 44 პირი. 2024 წლის პირველი იანვრიდან დღემდე საშტატო ერთეულით დასაქმებულია 67, ვაკანსია - 18. ადმინისტრაციული ხელშეკრულებით - 42, ვაკანსია-6. ასევე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა რაოდენობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით განისაზღვრა 46 ერთეულით და დასაქმებულია 46 პირი.

ადმინისტრაციული სამსახური შედგება ოთხი განყოფილებისაგან:

- საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება
- საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება
- წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილება
- იურიდიული განყოფილება

2023 წლის 1 იანვრიდან დღემდე მერიაში შემოსულია 5125 კორესპოდენცია. აქედან კანცელარიაში მატერიალური სახით შემოსულია 3246 წერილი, ელექტრონულად მიღებულია -1999. მიღებულ კორესპონდენციებზე პასუხების გაცემა ხდება კანონით დადგენილ ვადებში. გასული დოკუმენტების რაოდენობაა- 5048, ამ პერიოდისათვის გამოცემულია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტი - 3446 ბრძანება, სამსახურებრივი შიდა მოძრაობის- 2026 წერილი. სოციალურ საკითხებზე შემოსულია 4520 განცხადება. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის შესახებ -175 განცხადება.

მერიის მოსამსახურეთა საკადრო საკითხებთან დაკავშირებით ვაწარმოებთ პირად საქმეებს, ვამზადებთ სამართლებრივი აქტების პროექტებს, ვამოწმებთ მოსამსახურეების მიერ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონთ დადგენილი დოკუმენტაციის წარმოდგენის სისრულეს და შესაბამისობას, ავღრიცხავთ და კონტროლს ვუწევთ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვას. ვადგენთ მოსამსახურეთა შვებულებაში გასვლის გრაფიკს, ვაკონტროლებთ კანონით დადგენილ ვადაში

დეკლარაციების წარდგენის პროცესს.

2018 წლიდან ხდება პროფესიული საჯარო მოხელეების შეფასება, რის საფუძველზეც 2024 წლის 25 იანვარს მოხდა კლასის მინიჭება პროფესიულ საჯარო მოხლეებზე- სულ.: მესამე კლასი - 18 , მეორე კლასი 34-, პირველი კლასი -4.

მიმდინარე წელში ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებულ ვაკანსიებზე გამოცხადდა 2 კონკურსი.

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება ადმინისტირებას უწევს ვებ-გვერდს www.kharagauli.gov.ge, სადაც ყოველდღიურ რეჟიმში ქვეყნდება ინფორმაცია მუნიციპალიტეტში მიმდინარე ადმინისტრაციულ, ინფრასტრუქტურულ, სოციალურ-კულტურულ, სპორტულ, თუ სხვა სახის ღონისძიებების შესახებ. ასევე, ვახდენთ სოციალური ქსელების (მერიის ოფიციალური ფეისბუქ გვერდის და ჯგუფის) ადმინისტრირებას.საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება საქმიანობის განხორციელებისას, დაგროვილი ინფორმაციის საფუძველზე ვახდენთ სმონაცემთა ბაზის, არქივის შექმნას და ინფორმაციის ანალიზს. საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება თანამშრომლობს სხვადასხვა საინფორმაციო სააგენტოსთან. მთელი წლის მანძილზე ხარაგაულში მიმდინარე მთავარი თემების (ინფრასტრუქტურული, კულტურული თუსოციალური ხასიათის) შესახებ ინფორმაცია მიეწოდება ipress.ge , topnews.com.ge. აქტიურად ვთანამშრომლობთ ტელევიზიებთან, ხარაგაულში მიმდინარე ინფრასტრუქტურული,სოციალური თუ სხვა სახის ინფორმაციების გაჟღერების და საზოგადოების ინფორმირების მიზნით. საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ჩართულობით იგეგმება, მერის სტუმრობა, ტელეკომპანია ,,მაესტროს“ ეთერში , საიდანაც პირდაპირი ეთერის საშუალებით ხდება საზოგადეობისთვის ინფორმაციის მიწოდება ხარაგაულში მიმდინარე მნიშვნელოვან და საინტერესო თემებზე. ტელევიზიებთან აქტიური კომუნიკაციის ფარგლებში შუქდება ინფორმაცია მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის შესახებ. მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება აქტიურ კომინიკაციაშია მერიის მიერ დაფუძნებულ აიპებთან და ერთობლივად მუშაოებენ საინფორმაციო ხასიათის მასალების გამოქვეყნებაზე. მნიშვნელოვანია , რომ 2023 წელს ხარაგაულის მერიის ვებ-გვერდიKharagauli.gov.ge საქართველოს მუნიციპალიტეტების გამჭვირვალობისა დაანგარიშვალდებულების 2023 წლის ეროვნული შეფასების (LSG ინდექსი) შედეგების მიხედვით, 64 მუნიციპალიტეტს შორის მე-11, ხოლო იმერეთისმასშტაბით პირველ ადგილზე გავიდა.107 კრიტერიუმის დასაკმაყოფილებლად ხარაგაულის მერია და საკრებულო ერთობლივი პასუხისმგებლობით იყო ჩართული სამუშაო პროცესში. საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ორგანიზებით გვქონდა შეხვედრები მერიის შესაბამის სამსახურებთან.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის წარმომადგენელთა კოორდინაციის განყოფილებაში შტატი დასაქმებულია 3 თანამშრომელი, ხოლო შრომითი ხელშეკრულებით აყვანი ლია 12, ამათგან 9 დასაქმებულია ადმინისტრაციულ ერთეულებში და თითოეული მათგანი ექვემდებარება მერის წარმომადგენლებს . ისინი აქტიურად არიან ჩართულ ნი ადმინისტრაციულ ერთეულში მიმდინარე სამუშაოებში. კოორდინაციის განყოფილე ბას შედგენილიაქვსგანყოფილების წლიური სამუშაო გეგმა და განაწილებულია ფუნქც ია-მოვალეობანი.

განყოფილება აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა ორგანიზაციებთან, კერძოდ, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან, სამოქალაქო რეესტრთან, სატყეო მეურნეობის დეპარტამენტთან, რკინიგზის დეპარტამენტთან, სამართალდამცავ ორგანოებთან და სხვა.

2023 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 1 თებერვლამდე განყოფილებაში შემოვისულია 621 კორესპონდენცია, რომლებზედაც რეაგირება მოხდენილია კანონით დადგენილ ვადებში.

განყოფილების მუშაკები სისტემატურად უწევენკონსულტაციებს მუნიციპალ იტეტის მერის წარმომადგენლებს მათზე დაკისრებული მოვალეობების განსახორციელებლად . შეძლებისდაგვარადაკონტროლებენ მუნიციპალიტეტისა თვის გამოყოფილი თანხით და ადმინისტრაციულ ერთეულებში ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროგრამების და ღონისძიებების განხორციელების მიმდინარეობას. მონაწილეობას იღებენ მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი კომისიების მუშაობაში.სისტემატურად აწარმოებენ ადმინისტრაციულ ერთეულებში სტიქიით მიყენებული ზარალის აღრიცხვას.

მუშაობენ სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემების შეგროვებაზე. კერძოდ: ყოველი კალენდარული წლის 1 იანვრის მდგომარეობით (მათ შორის 2023 წლის და 2024 წლის) ნაწარმოებია აღრიცხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში მუდმივად მცხოვრები კომლების, მოსახლეობის რაოდენობის, მათ შორის ქალის, კაცის და 18 წლამდე ასაკის ბავშვის, პირუტყვის სულადობის , ბაღჩეულის წარმოების და სხვათა შესახებ.

პერიოდულად შევაქვთ ცვლილებები საშეშე ბარათების მთხოვნელ მოქალაქეთა სიებში და დროულად უგზავნიან სატყეო დეპარტამენტს.

სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ხარაგაულის სამოქალაქო რეესტრს“ ში გაგზავნილია 30 მოქალაქის გარდაცვალების ფაქტის დამადასტურებელი ოქმი..

საანგარიშო პერიოდში 32 მოქალაქის შესახებ გაგზავნილია საჯარო რეესტრიდან სისტემური რეგისტრაციის არეალში, სპორადული რეგისტრაციის ფარგლებში უძრავი ნივთის რეგისტრაციის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები. .

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების მიერ დადებული იქნა სამართლებრივი ვიზები სხვადასხვა სახის დოკუმენტებზე (შრომითი ხელშეკრულებებსა და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტებზე).
შედგენილი იქნა სარჩელები: შპს,, გეო კაპიტალის'', შპს ,,დვ გრუპის'' მიმართ.
შედგენილ იქნა შესაგებლები: შპს ,,ნიუ გრუფისა" და შპს ,,ჰერიოს", შპს ,,გეტა 09-ის“ სარჩელებთან დაკავშირებით, ასევე შედგენილ იქნა შეპასუხება (მოსაზრება) შპს ,,გეო კაპიტალის“ შესაგებელთან დაკავშირებით, მოსაზრება შპს ,,ბლექ სი გრუპის" სარჩელის უზრუნველყოფის სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით;
მიღებულ იქნა მონაწილეობა საქართველოს უზენაეს სასამართლოში დანიშნულ საკასაციო

საჩივრის განხილვის სხდომაზე.
განყოფილების იურისტებმა მონაწილეობა მიიღეს მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი სხვადასხვა კომისიის მუშაობაში; მათ მიერვე მიცემულ იქნა სხვადასხვა სახის კონსულტაციები მერიის განყოფილებების, სამსახურების თანამშრომლებისათვის, ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებისა და სპეციალისტებისათვის, ასევე მოქალაქეებისათვის. გაცემული იქნა სამართლებრივი განმარტებები სხვადასხვა საკითხებზე;
მომზადებულ იქნა პასუხების პროექტები სხვადასხვა იურიდიული და ფიზიკური პირებიდან და სახელმწიფო უწყებებიდან შემოსულ მომართვებსა და წერილებზე. კერძოდ, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, როზა კვინიკაძის, მიხეილ ჭიპაშვილის, თ.ავალიშვილის, რეგიონალური ინიციატივების ცენტრის ,,ნათელ მომავლის“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამმართველოს, შსს ხარაგაულის რაიონული სამმართველოს მომართვებზე;
დაზარალებული ორგანიზაციის წარმომადგენლის სახით იურიდიული განყოფილების უფროსმა მონაწილეობა მიიღო სისხლის სამართლის საპროცესო ღონისძიებებში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის სამმართველოსა და შსს ხარაგაულის რაიონული სამმართველოში.
მომზადებულ იქნა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები, კერძოდ, ზოგიერთი აქტის ბათილად ცნობაზე, სხვადასხვა სახის კომისიების შექმნაზე, დისციპლინური ღონისძიების გატარების შესახებ, ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლისათვის უფლებამოსილების შეჩერების შესახებ.
შედგენილი იქნა ა(ა)იპებ-ის წესდებებში ცვლილების შეტანის შესახებ ბრძანებების პროექტები, კერძოდ, ა(ა)იპ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების“ , ა(ა)იპ „სპორტის და ტურიზმის ცენტრის“ , ა(ა)იპ „კულტურისა და ხელოვნების ცენტრის“, ა(ა)იპ ,,მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის“ , ა(ა)იპ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ , ა(ა)იპ ,,სათნოების სახლის“ , ა(ა)იპ „ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის“ წესდებაში და თვით წესდებები და ცვლილებები რეგისტრირებულ იქნა საჯარო რეესტრში;
შედგენილ იქნა ა(ა)იპ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების“ , ა(ა)იპ „სპორტის და ტურიზმის ცენტრის“ , ა(ა)იპ „კულტურისა და ხელოვნების ცენტრის“, , ა(ა)იპ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ , ა(ა)იპ „ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის“ სადამფუძნებლო შეთანხმებები და ცვლილებები რეგისტრირებულ იქნა საჯარო რეესტრში.
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარსადგენად მომზადებულ იქნა შემდეგი სახის ნორმატიული აქტების პროექტები: „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“ - ცვლილების შეტანის თაობაზე, ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებისათვის დოკუმენტების ფორმებისა და მათი აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 16 მაისის №18 დადგენილებაში

ცვლილების შეტანის თაობაზე, თავისი დანართებით'' , ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 სექტემბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე; ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №17 დადგენილებაში - ცვლილების შეტანის თაობაზე; ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 სექტემბრის №38 დადგენილებით დამტკიცებული ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დებულების" ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე;

მომზადებულ იქნა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურში რეორგანიზაციის დაწყებისა და დასრულების ადმინისტრაციიულ-სამართლებრივი აქტების პროექტები;

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან შესაბამისი თანხმობის მიღების მიზნით მომზადებულ იქნა შპს ,,ხარაგაული 2011-ის" ლიკვიდაციის შესახებ მასალები და გადაგზავნილ იქნა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში;
მომზადებულ იქნა მემორანდუმისა და ხელშეკრულებების პროექტები ურთიერთთანამშრომლობის შესახებ, შპს „საფეხბურთო კლუბი დინამო თბილისის საფეხბურთო სკოლასთან", ,,საქართველოს მკლავჭიდის ერთიანი ეროვნული ფედერაციასთან", ს.ს.ი.პ. ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრთან", საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებასთან, ა(ა)იპ ,,საქართველოს სტუდენტური პარლამენტთან";
წარდგენილი იქნა განცხადებები და სასამართლო აქტები აღსრულების ეროვნულ ბიუროში მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ გამოტანილი სასამართლო განჩინებების აღსრულების მიზნით;
შედგენილი იქნა მოხსენებითი და სამსახურებრივი ბართები სხვადასხვა საკითხებზე და გაგზავნილ იქნა მიმართვები სხვადასხვა უწყებებში;
მომზადებულ იქნა პასუხების პროექტები საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ მომართვებზე.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარსადგენად მომზადებულ იქნა შემდეგი სახის ნორმატიული აქტების პროექტები: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №19 დადგენილებაში -„ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ" - ცვლილების შეტანის თაობაზე; ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნებართვო გარე ვაჭრობის ფაქტების აღკვეთისას სამართალდარღვევის საგნის (საქონლის) კონფისკაციის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის" შესახებ, ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში გასაშენებელი მწვანე ნარგავების სახეობებისა და გამწვანების პროექტის შეთანხმების პირობების" შესახებ; მომზადებულ იქნა ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უფასო სასადილოში ბენეფიციარების შერჩევისა და რეგისტრაციის წესის" პროექტი;

მომზადებულ იქნა ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და დახმარების მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების ცვლილების პროექტი;
დადებული იქნა სამართლებრივი ვიზები სხვადასხვა სახის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტებზე.
შედგენილ იქნა შესაგებელი: შპს ,,გეტა 09-ის“ ადმინისტრაციულ სარჩელთან დაკავშირებით;
შედგენილ იქნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებასთან დაკავშირებით შპს „გეო კაპიტალის“ სააპელაციო საჩივრის შეპასუხება;
განყოფილების იურისტებმა მონაწილეობა მიიღეს მერიაში შექმნილი სხვადასხვა კომისიის მუშაობაში; მათ მიერვე მიცემულ იქნა სხვადახსვა სახის კონსულტაციები მერის განყოფილებებისა და სამსახურების თანამშრომლებისათვის;
მომზადებულ იქნა ა(ა)იპ „სპოტრის და ტურიზმის ცენტრის“ წესდების ცვლილების ბრძანება და წესდება;
მომზადებულ იქნა ადმინისტრაციული აქტების პროექტები სხვადასხვა სახის კომისიის წევრების ცვლილებების შესახებ.
გაცემული იქნა სამართლებრივი განმარტებები სხვადასხვა საკითხებზე;